კვლევის ძირითადი მიზნები:

- საქართველოს საჯარო დაწესებულებების გამჭვირვალობის ხარისხის ამაღლება;
- ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ხელშეწყობა;
- საქართველოში ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირება;
- საქართველოში ელექტრონული მმართველობისა და ელექტრონული გამჭვირვალობის განვითარება.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ოფიციალური ვებ-გვერდის (www.mod.gov.ge) საინფორმაციო გამჭვირვალობისა და ელექტრონული მმართველობის შეფასებითი მონიტორინგი

2011 წლის 14 ივნისი

ყველა უფლება დაცულია
ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი
ა. მაჭავარიანის ქ. №4, ბინა1. 0179. საქართველო, თბილისი.
Tel: +995322 996364.
www.idfi.ge / www.opendata.ge
info@idfi.ge

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო

www.mod.gov.ge

<u>გამოვლენილი ძირითადი ხარვეზები და რეკომენდაციები</u>




ინფორმაციის არსებობა ვებ-გვერდზე
წარმოდგენილი ინფორმაციის ხარისხი
1. ზოგადი ინფორმაცია საჯარო დაწესებულების შესახებ
60,87%
62,14%
2. საჯარო დაწესებულების სისტემა/სტრუქტურა
38,46%
25,60%
3. მონაცემები საჯარო დაწესებულების საინფორმაციო რესურსების შესახებ
40,00%
17,50%
4. ძირითადი კომპეტენციის სფეროში საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ ცნობები
59,26%
20,72%
5. სამართლებრივი აქტები და საჯარო დაწესებულების ნორმაშემოქმედებითი საქმიანობა
33,33%
25,75%
6. საჯარო დაწესებულების საქმიანობის წესი, რომელიც მიზნად ისახავს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების უზრუნველყოფას
0,00%
0,00%
7. ს-დ საქმიანობის ფარგლებში მიმდინარე სახელმწიფო შესყიდვების, სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ხელშეკრულებების გაფორმების შესახებ ცნობები
60,00%
41,00%
8. საჯარო დაწესებულების საკადრო უზრუნველყოფა
0,00%
0,00%
9. საჯარო დაწესებულების დაფინანსება და ხარჯთაღრიცხვა (ბიუჯეტი)
14,29%
20,00%
0,00%
20,00%
40,00%
60,00%
80,00%

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ვებ-გვერდზე არ მოიძიება:

- **ზოგადი ინფორმაცია საჯარო დაწესებულების შესახებ**

1. სამინისტროს მოქმედი დებულების თანახმად მინისტრს გააჩნია მნიშვნელოვანი კომპეტენცია. აღნიშნულის შესახებ საჭიროა ინფორმაციის არსებობა შესაბამის ქვე-განყოფილებაში - ,,მინისტრი"; ამასთან, მოქმედი დებულების თანამად: ,,მინისტრს თანამდებობაზე ნიშნავს პრემიერ-მინისტრი საქართველოს პრეზიდენტის თანხმობით; მინისტრს თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრეზიდენტი, აგრეთვე საქართველოს პრემიერ-მინისტრი." გარდა ამისა, სამინისტროს მოქმედი დებულების თანახმად თავდაცვის მინისტრი ანგარიშვალდებულია საქართველოს პრეზიდენტისა და პრემიერ-მინისტრის წინაშე. აღნიშნულის შესახებაც სასურველია მოიძიებოდეს ინფორმაცია შესაბამის ქვე-განყოფილებაში. ამასთან, ვებ-გვერდზე არ მოიძიება მინისტრის სამუშაო ელ.ფოსტა.

2. სამინისტროს მოქმედი დებულების თანახმად მინისტრს ჰყავს ხუთი მოადგილე, მათ შორის ერთი პირველი. საიტზე მოყვანილ ქვე-განყოფილებაში - ,,მინისტრის მოადგილეები" მოყვანილია ინფორმაცია მხოლოდ სამი მოადგილის შესახებ. გარდა ამისა, მოქმედი დებულების თანახმად: ,,მინისტრის პირველ მოადგილესა და მოადგილეებს მინისტრის წარდგინებით, საქართველოს პრეზიდენტთან შეთანხმებით, თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი." აღნიშნულის შესახებ სასურველია მოიძიებოდეს ინფორმაცია შესაბამის ქვე-განყოფილებაში - ,,მინისტრის მოადგილეები". ამასთან, ვებ-გვერდზე არ მოიძიება მინისტრის მოადგილეთა ფაქსის ნომრები და სამუშაო ელ. ფოსტები.

3. ვებ-გვერდზე არ მოიძიება საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შენობის მდებარეობის აღმნიშვნელი რუკა, ფიზიკური და იურიდიული პირების მიღების და მათთან მუშაობის გრაფიკი;

4. ვებ-გვერდზე არ მოიძიება საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ამოცანების / ფუნქციების აღწერა და ვებ-გვერდის ოფიციალურობის დამადასტურებელი წერილობითი აღნიშვნა; ვებ-გვერდზე აგრეთვე არ მოიძიება საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დაფუძნების თარიღიდან მოყოლებული დეტალური საქმიანობის ისტორია;

5. ვებ-გვერდზე არ მოიძიება საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემის სრული სარეკვიზიტო ცნობარი (ყველა სტრუქტურული ქვედანაყოფის, სამინისტროს სისტემაში მოქმედი უკლებლივ ყველა საჯარო სამართლის იურიდიული პირის სატელეფონო ცნობარი,

ელ. ფოსტა, საფოსტო მისამართი და ფაქსის ნომრები). ამასთან, სამინისტროს შედარებით გაშლილი სარეკვიზიტო ცნობარი მოცემულია არა განყოფილებაში - ,,კონტაქტი“, არამედ განყოფილება ,,სამინისტროს“, ქვე-განყოფილებაში - ,,მისამართები და ტელეფონები“:



- **საჯარო დაწესებულების სისტემა/სტრუქტურა**

6. განყოფილებაში „სამინისტრო“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „სტრუქტურა“ დასამატებელია ინფორმაციული ბლოკი სათაურად - „გაერთიანებული შტაბი“.

7. ვებ-გვერდზე არ მოიძიება საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების ჩამონათვალი და მათი კომპეტენციის, ფუნქციების და მიზნების აღწერა.

8. ვებ-გვერდზე არ მოიძიება საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფებისა ხელმძღვანელთა ფოტოსურათები, ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები და კომპეტენციის აღწერა; აგრეთვე არ მოიძიება, სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელთა სამუშაო ელ.ფოსტები და უმეტესობა ფაქსის ნომრებისა:



- **მონაცემები საჯარო დაწესებულების საინფორმაციო რესურსების შესახებ**

9. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ვებ-გვერდზე არ არის მოცემული რიგი მნიშვნელოვანი მონაცემთა ბაზებისა, კერძოდ: საერთაშორისო და ადმინისტრაციული ხელშეკრულებები, ვაკანსიები (,,გვერდი დროებით მიუწვდომელია“) და სტატისტიკური მონაცემები.

10. არ მოიძიება შემოსული/გასული კორესპონდენციის რეგისტრი:



- **ძირითადი კომპეტენციის სფეროში საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ ცნობები**

11. არ მოიძიება საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საქმიანობის ამსახველი ერთიანი წლიური ანგარიში.

12. საჭიროა ვებ-გვერდზე განცალკევებულად არსებობდეს ქვე-განყოფილებები ,,საერთაშორისო პარტნიორობა“ და ,,პარტნიორობა საქართველოს ორგანიზაციებთან“, სადაც მოყვანილი იქნება პარტნიორობის შესაბამისი ტექსტური ინფორმაციული აღწერა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პარტნიორ ორგანიზაციათა ვებ-გვერდების ბმულები.

13. ვებ-გვერდზე არ მოიძიება იმ პროექტების ჩამონათვალი და შესრულების შესახებ (წლიური) მოხსენებები, რომელთა დამკვეთს, შემსრულებელს ან რეალიზაციაში რაიმე სახით მონაწილე მხარეს წარმოადგენს საქართველოს თავდაცვის სამინისტრო.

- **სამართლებრივი აქტები და საჯარო დაწესებულების ნორმაშემოქმედებითი საქმიანობა**

14. ვებ-გვერდზე არსებული სამართლებრივი აქტების სიმრავლიდან გამომდინარე სასურველია არსებობდეს სამართლებრივი აქტების საძიებო სისტემა. ამასთან, განყოფილებაში „იურიდიული დოკუმენტები“ სასურველია ყველა აქტი მოყვანილ იქნეს მოქმედი მდგომარეობით (არ მოიძიება სამინისტროს საქმიანობის სფეროსთან დაკავშირებული საქართველოს მთავრობის სამართლებრივი აქტები, საქართველოს კონსტიტუცია და განცალკევებული განყოფილება „სამინისტროს დებულება“):

- **საჯარო დაწესებულების საქმიანობის წესი, რომელიც მიზნად ისახავს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების უზრუნველყოფას**

15. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ვებ-გვერდზე არ მოიძიება ფიზიკურ და იურიდიულ პირთა მიმართვათა მიმოხილვა, ფიზიკურ და იურიდიულ პირთა ზოგად საკითხებთან დაკავშირებულ მიმართვათა საჯარო დაწესებულებაში მიღების წესის აღწერა.

16. ვებ-გვერდზე საერთოდ არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საქმიანობის შესახებ, რომელიც დაკავშირებულია ინფორმაციის თავისუფლებასთან / საჯარო ინფორმაციის ღიაობასთან: ვებ-გვერდზე არ არსებობს

საჯარო ინფორმაციასთან დაკავშირებული განცალკევებული განყოფილება. არ მოიძიება საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურის ვინაობის (სახელი და გვარი), თანამდებობისა და საკონტაქტო რეკვიზიტების შესახებ ინფორმაცია,საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებათა გასაჩივრების შესახებ ცნობები და სააგენტოში შესული საჯარო ინფორმაციის გაცემასა და გაცემის მოთხოვნაზე უარის თქმის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა რაოდენობის შესახებ ინფორმაცია. აგრეთვე ვებ-გვერდზე არ არის წარმოდგენილი ადმინისტრაციული საჩივრისა და საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის ჩამოსატვირთი ფორმები/ნიმუშები.

- **საჯარო დაწესებულების საქმიანობის ფარგლებში მიმდინარე სახელმწიფო შესყიდვების, სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ხელშეკრულებების გაფორმების შესახებ ცნობები**

17. ვებ-გვერდზე განთავსებულ ტენდერების არქივში უკანასკნელი ინფორმაცია თარიღდება 2010 წლის 20 დეკემბრით, ამასთან ინფორმაციის სიმრავლიდან გამომდინარე სასურველია არსებობდეს ტენდერების საძიებო სისტემა.

18. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ვებ-გვერდზე არ მოიძიება ადმინისტრაციულ ხელშეკრულებათა ბლოკი/განყოფილება, სადაც მოყვანილი იქნებოდა სამინისტროსა და ფიზიკურ/იურიდიულ პირებს შორის, აგრეთვე სამინისტროსა და სხვა საჯარო დაწესებულებას შორის გაფორმებულ ადმინისტრაციულ (სამოქალაქო/სამართლებრივ) ხელშეკრულებათა ჩამონათვალი და პირობები:

- **საჯარო დაწესებულების საკადრო უზრუნველყოფა**

19. ვებ-გვერდზე არსებული ქვე-განყოფილება „ვაკანსიები“ (ისევე როგორც ქვე-განყოფილება „სხვა განცხადებები“), იუწყება რომ გვერდი დროებით მიუწვდომელია. სასურველია მოცემულ ქვე-განყოფილებაში მოყვანილ იქნეს საქართველოს თავდაცვის სამინისტროში ვაკანტურ თანამდებობათა და ვაკანტურ თანამდებობაზე მისაღები კანდიდატისათვის წაყენებული საკვალიფიკაციო მოთხოვნების ჩამონათვალი, საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის ჩატარების წესი, საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის შედეგები (სააგენტოს მიერ კანდიდატთა პერსონალური მონაცემების ვებ-გვერდზე განთავსების საფუძვლებზე (თანხმობის მიღება) მითითებით, საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის პროცედურებისა და შედეგებთან დაკავშირებული პრეტენზიების წაყენების, მათი ადმინისტრაციული წარმოების გზით გასაჩივრების წესის აღწერა და ა.შ.:



- **საჯარო დაწესებულების დაფინანსება და ხარჯთაღრიცხვა (ბიუჯეტი)**

20. ვებ-გვერდზე არ არის წარმოდგენილი საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი ფინანსური ხასიათის ინფორმაცია:

- არ მოიძიება საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის გამოყოფილი სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების შესახებ ინფორმაცია;
- არ მოიძიება საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ბიუჯეტის შესრულების ბალანსისა და ბიუჯეტის ასიგნებების ხარჯვის შესახებ ზოგადი ინფორმაცია;
- არ მოიძიება საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სრული სისტემის თანამშრომლებზე გაცემული ხელფასების, დანამატების და დარიცხული პრემიების წლიური ოდენობების შესახებ ინფორმაცია (კონკრეტულ პირთა ვინაობაზე მითითების გარეშე);
- უცხო სახელმწიფოთა მთავრობების, საერთაშორისო ორგანიზაციების, სხვა დონის სახელმწიფო ერთეულების მიერ საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის გამოყოფილი ფინანსური დახმარების (გრანტები) ხარჯთაღრიცხვა;


სამინისტრო
პოლიტიკა
ნატოში ინტეგრაცია
ბიუჯეტი
იურიდიული დოკუმენტები
ტენდერები
განცხადებები
შეიარაღებული ძალები
საქართველოს
თავდაცვის სამინისტრო
სიახლეები მულტიმედია კუბლიკაციები ინტერვიუები FAQ გმულები კონტაქტი
მთავარი / ბიუჯეტი
2011 წლის თავდაცვის სამინისტროს პრიორიტეტები
2010-2011 წლების ბიუჯეტის ცხრილი
სამხედრო მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების პროცენტული ზრდა

შეფასება ვებ-გვერდის ელექტრონული კომპონენტის მიხედვით:




ვებ-გვერდის ელ-მმართველობის ხარისხი
ტექნიკური პარამეტრის არსებობა ვებ-გვერდზე
1. ნავიგაცია
77,78%
2. ძიება
60,00%
3. მარტივად აღქმის კრიტერიუმები
70,59%
4. საკონტაქტო ფორმები და წესები
25,00%
5. ვებ-კონტენტის ხელმისაწვდომობა
46,67%
6. ადაპტაცია მობილურ კავშირგაბმულობასთან WAP
0,00%
7. სინტაქსურად გამართული პროგრამული კოდი
57,89%
8. ინტეგრაცია სოციალურ ქსელებთან
14,29%
9. ელექტრონული ჩართულობა
0,00%
10. ელექტრონული სერვისები
9,09%
11. უნარშეზღუდული მომხმარებლებისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობა
0,00%
12. უსაფრთხოება
0,00%
13. დამატებითი მნიშვნელოვანი პარამეტრები
58,33%
0
0,1
0,2
0,3
0,4
0,5
0,6
0,7
0,8

- **ნავიგაცია**

ნავიგაციაში პრობლემა არის ის, რომ ყველა პუნქტი არის სურათი და არა ტექსტური ნაწილი, მათ არც ალტერნატიული ტექსტი აქვთ დაწერილი, შესაბამისად საძიებო სისტემები ვერ დააინდექსებენ გვერდებს როგორც საჭიროა.

- **ძიება**

ძიებაში ქართულად წერა არ ფუნქციონირებს, შესაბამისი კოდი კი აშკარად დაწერილია:

- **მარტივად აღქმის კრიტერიუმები**

ვებ-გვერდზე არის დოკუმენტების ჩამონათვალი, თუმცა გაურკვეველია რა რომელი დოკუმენტია. ასეთ შემთხვევებში აუცილებელია ყველა დოკუმენტის გასწვრივ შესაბამისი მოკლე აღწერის დაწერა: http://mod.gov.ge/index.php?page=5&lang=1



ვებ-გვერდის რიგი მნიშვნელოვანი განყოფილება (მაგ. იურიდიული დოკუმენტები, ტენდერები) სიგრძეში არის გაწელილი. იქ სადაც თავმოყრილია დიდი რაოდენობის ინფორმაციაა საჭიროა, რომ მოხდეს გვერდების დამატება და გადანომრვა:



- **უსაფრთხოება**

ვებ-გვერდზე დაშვებულია ძალიან მნიშვნელოვანი ტექნიკური შეცდომა, რომლის გამოყენებითაც მარტივად შესაძლებელი ხდება ვებ-გვერდზე უკანონო შეღწევა. ჩვენ უსაფრთხოების მიზნით არ ვაქვეყნებთ არსებული ნაკლოვანების კონკრეტულ ბმულს, დაინტერესების შემთხვევაში სრულ ინფორმაციას მივაწვდით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს:



ვებ-გვერდის ზოგადი შეფასება

ყურადსაღებია ფაქტია, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტრო ვებ-გვერდი საკმაოდ სუსტად არის დაცული არასანქიცერუბლი შეღწევისგან. ასევე მნიშვნელოვანია ისიც, რომ „მენიუში“ გამოყენებულია სურათები ალტერნატიული ტექსტის (რომელიც გამოიყენება საძიებო სისტემებისთვის) მითითების გარეშე, შესაბამისად ვებ-გვერდი ვერ იქნება სრულად ადაპტირებული საძიებო სისტემებთან.

ვებ-გვერდი ზოგადად მრავალფუნქციურის შთაბეჭდილებას ტოვებს, თუმცა არის უამრავი დეტალი, რომელიც გამორჩენილია. მაგალითად ძიებაში ავტომატურად ვერ ვწერთ ქართული შრიფტით, ვებ-გვერდის რუკა არ მუშაობს, ვებ-გვერდი ვერ აკმაყოფილებს WEB 2.0-ის სტანდარტებს და სხვა. ზუსტად ასეთი დეტალები უზრუნველყოფს მომხმარებლის მიერ ვებ-რესუსრსის ეფექტურ მართვას.